საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

მისაწვდომობის ეროვნული გეგმის თაობაზე საერთაშორისო გამოცდილება

საზღვარგარეთის ქვეყნების
გამოცდილება

2021

ავტორი
მარიამ გაიპარაშვილი

შინაარსი

მისაწვდომობის ეროვნული გეგმის თაობაზე საერთაშორისო გამოცდილება 2
მისაწვდომობის იმპლემენტაციის საერთაშორისო სტანდარტები 2
შედარებისამართლებრივი კვლევა 4
ავსტრია 5
გაერთიანებული სამეფო 5
გერმანია 6
ესპანეთი 7
ირლანდია 7
იტალია 8
ნორვეგია 8
საფრანგეთი 9
შვედეთი 9
შეჯამება 11

მისაწვდომობის ეროვნული გეგმის თაობაზე საერთაშორისო გამოცდილება

პარლამენტის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვლევის პირველი ნაწილი ემყარება საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების ანალიზს. კერძოდ, შეფასებულია გაეროსა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მისაწვდომობის იმპლემენტაციის თაობაზე. ნაშრომის მეორე ნაწილი მოიცავს მისაწვდომობის ეროვნული გეგმის თაობაზე შედარებისამართლებრივ ანალიზს. გაანალიზებულია იმ ქვეყნების საკანონმდებლო აქტები, რომლებიც წარმატებულები არიან მისაწვდომობის იმპლემენტაციის კუთხით. შესაბამისად, ნაშრომი მიმოიხილავს ავსტრიის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, ესპანეთის, ირლანდიის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და შვედეთის გამოცდილებას.

მისაწვდომობის იმპლემენტაციის საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-9 მუხლის თანახმად, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა* ***უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის,*** *ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა,* ***საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა*** *როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.*

გაეროს კომიტეტმა განმარტა, რომ მე-9 მუხლის იდეიდან გამომდინარე, თუ რაიმე მომსახურების შეთავაზება ხდება საჯაროდ, ეს ნიშნავს იმას, რომ ის მისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და არ აქვს მნიშვნელობა შემთავაზებელი **არის საჯარო თუ კერძო სამართლის სუბიექტი.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ სხვა პირების თანასწორი მისაწვდომობა ყველა პროდუქტზე/მომსახურებაზე და ეს დაკავშირებულია მათი ღირსების პატივისცემასთან.[1] კომიტეტის განმარტებით, მე-9 მუხლი განამტკიცებს წინაპირობასა და უფლებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ დამოუკიდებლად და სხვების თანასწორად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.[2]

კომიტეტმა ასევე მკაფიო განმარტება გააკეთა მისაწვდომობის პრინციპის თაობაზე და ის გამიჯნა გონივრული მისადაგებისგან: მისაწვდომობა ძირითადად დაკავშირებული პირთა ჯგუფის უფლებებთან, ხოლო გონივრული მისადაგება

1. Committee on the Rights of Persons with Disabilities Eleventh session 31 March–11 April 2014, General comment No. 2 (2014) Article 9: Accessibility, პარაგრ. 13

2. იქვე, პარაგრ. 14

ინდივიდის უფლებებთან. შესაბამისად, მისაწვდომობის უზრუნველყოფა *ex ante,* ხოლო გონივრული მისადაგება *ex nunc*[3] ვალდებულებაა. კომიტეტის განმარტებით, **მისაწვდომობის პრინციპის დაცვა უპირობოდ უნდა მოხდეს და ეს სტანდარტი უნდა იყოს ფართომაშტაბიანი.**[4] საჯაროდ შეთავაზებულ სერვისზე/მომსახურებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების **შეუსრულებლობა**, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით **დისკრიმინაციას**.[5]

კომიტეტმა ხაზი გაუსვა **უნივერსალური დიზაინის** მნიშვნელობას, რადგან მისი დახმარებითაა შესაძლებელი როგორც ქალაქში, ისე სოფლებში, მისაწვდომობის უზრუნველყოფა. მართალია, ქალაქში მისაწვდომობა უფრო მეტადაა უზრუნველყოფილი, მაგრამ ურბანიზაციის პირობებში ადაპტირების სტანდარტები არ არის დამაკმაყოფილებელი და, ამასთან, მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება თანაბრად ვრცელდება ყველა დასახლებულ პუნქტზე.[6]

კომიტეტმა გარდა იმისა, რომ დეტალურად განმარტა კონვენციის მე-9 მუხლი და მისაწვდომობის ცნების მნიშვნელობა, მან ასევე მიმოიხილა სახელმწიფოს ვალდებულებები საკანონმდებლო სფეროში. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად, სახელწმიფოს ევალება **მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის მონიტორინგი**. პირველ ნაბიჯს კი წარმოადგენს საკანონმდებლო სივრცეში მისაწვდომობის სტანდარტის დანერგვა.[7] რაც გულისხმობს იმას, რომ თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ფიზიკური გარემო ან ტრანსპორტი არ არის მისაწვდომი, მას უნდა ჰქონდეს ეფექტური სამართლებრივი საშუალება იდავოს უფლების დარღვევის გამო, რადგან უარი მისაწვდომობაზე წარმოადგენს დისკრიმინაციას.[8] კომიტეტმა ასევე განსაზღვრა სახელმწიფოების ვალდებულება შექმნან **სამოქმედო გეგმა/სტრატეგიები**, რათა ეტაპობრივად აღმოიფხვრას ბარიერები და დაინერგოს ადაპტირებული გარემო.[9] კომიტეტმა განმარტა, რომ მისაწვდომობის სტანდარტები ხშირად **ლოკალური ხელისუფლების** პასუხისმგებლობაა, თუმცა ცენტრალური

3. იქვე, პარაგრ. 26: *The duty to provide reasonable accommodation is an ex nunc duty, which means that it is enforceable from the moment an individual with an impairment needs it in a given situation, for example, workplace or school, in order to enjoy her or his rights on an equal basis in a particular context...Reasonable accommodation can be used as a means of ensuring accessibility for an individual with a disability in a particular situation. Reasonable accommodation seeks to achieve individual justice in the sense that non-discrimination or equality is assured, taking the dignity, autonomy and choices of the individual into account. Thus, a person with a rare impairment might ask for accommodation that falls outside the scope of any accessibility standard.*

4. იქვე, პარაგრ. 25: *States parties therefore have the duty to provide accessibility before receiving an individual request to enter or use a place or service. States parties need to set accessibility standards, which must be adopted in consultation with organizations of persons with disabilities, and they need to be specified for service-providers, builders and other relevant stakeholders. Accessibility standards must be broad and standardized. In the case of individuals who have rare impairments that were not taken into account when the accessibility standards were developed or who do not use the modes, methods or means offered to achieve accessibility (not reading Braille, for example), even the application of accessibility standards may not be sufficient to ensure them access. In such cases, reasonable accommodation may apply. In accordance with the Convention, States parties are not allowed to use austerity measures as an excuse to avoid ensuring gradual accessibility for persons with disabilities. The obligation to implement accessibility is unconditional, i.e. the entity obliged to provide accessibility may not excuse the omission to do so by referring to the burden of providing access for persons with disabilities. The duty of reasonable accommodation, contrarily, exists only if implementation constitutes no undue burden on the entity.*

5. იქვე, პარაგრ. 34

6. იქვე, პარაგრ. 16

7. იქვე, პარაგრ. 28

8. იქვე, პარაგრ. 29

9. იქვე, პარაგრ. 24: *A clear distinction should be drawn between the obligation to ensure access to all newly designed, built or produced objects, infrastructure, goods, products and services and the obligation to remove barriers and ensure access to the existing physical environment and existing transportation, information and communication, and services open to the general public....All new objects, infrastructure, facilities, goods, products and services have to be designed in a way that makes them fully accessible for persons with disabilities, in accordance with the principles of universal design. States parties are obliged to ensure that persons with disabilities have access to the existing physical environment, transportation, information and communication and services open to the general public. However, as this obligation is to be implemented gradually, States parties should establish definite time frames and allocate adequate resources for the removal of existing barriers. Furthermore, States parties should clearly prescribe the duties of the different authorities (including regional and local authorities) and entities (including private entities) that should be carried out in order to ensure accessibility. States parties should also prescribe effective monitoring mechanisms to ensure accessibility and monitor sanctions against anyone who fails to implement accessibility standards.*

ხელისუფლების კომპეტენციაში რჩება **ეფექტური მონიტორინგის ვალდებულება**, რომ მისაწვდომობის სტანდარტი იყოს ყველგან დანერგილი.[10]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2006 წელს შეიმუშავა სამოქმედო გეგმა (Disability Action Plan 2006-2015) წევრი ქვეყნებისათვის.[11] სამოქმედო გეგმა სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად მოიცავს გარემოს ადაპტირებისა და ტრანსპორტის მისაწვდომობის საკითხებს.[12] მოგვიანებით, ჩატარდა კვლევა სადაც შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და გაანალიზდა მისაწვდომობის კუთხით საუკეთესო მაგალითები.[13]

შედარებისამართლებრივი კვლევა

ევროკომისიამ 2010 წელს შეიმუშავა სამოქმედო გეგმა (European Disability Strategy 2010-2020),[14] რომელიც 8 მნიშვნელოვან სფეროს განსაზღვრავდა, მათ შორის იყო მისაწვდომობის უზრუნველყოფა.[15] 2019 წელს მიღებულ იქნა დირექტივა,[16] რომელიც ეხება პროდუქტისა და მომსახურების მისაწვდომობას[17] და რომლის მიზანია ევროკავშირის ქვეყნებში საერთო მისაწვდომობის სტანდარტის[18] დანერგვა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი იყო საერთო სამოქმედო გეგმის კონცეფცია და ახალი დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს ადაპტირების სტანდარტიზაციას.

აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენციიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები სხვადასხვა კანონმდებლობით განამტკიცებენ თანასწორობას და გარემოს მისაწვდომობის ვალდებულებას.[19] ქვეყნები სხვადასხვა სამოქმედო გეგმით/სტრატეგიით ცდილობენ მისაწვდომობის საერთო სტანდარტის დანერგვას, მონიტორინგს და მისაწვდომობის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას. ქვემოთ განხილულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება, რომელთაც ადაპტირების უზრუნველყოფა შეძლეს ეროვნული გეგმის/სტრატეგიის დოკუმენტების საშუალებით.

---

10. იქვე, პარაგრ. 33: *States parties should adopt action plans and strategies to identify existing barriers to accessibility, set time frames with specific deadlines and provide both the human and material resources necessary to remove the barriers. Once adopted, such action plans and strategies should be strictly implemented. States parties should also strengthen their monitoring mechanisms in order to ensure accessibility and they should continue providing sufficient funds to remove barriers to accessibility and train monitoring staff. As accessibility standards are often implemented locally, continuous capacity-building of the local authorities responsible for monitoring implementation of the standards is of paramount importance. States parties are under an obligation to develop an effective monitoring framework and set up efficient monitoring bodies with adequate capacity and appropriate mandates to make sure that plans, strategies and standardization are implemented and enforced.*

11. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.coe.int/en/web/disability/action-plan-2006-2015

12. გვ. 19-21, სამოქმედო გეგმა ონლაინ ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680595206

13. გვ. 64-85, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16805a2a1e; ასევე, იხ. Zero ანგარიში მისაწვდომობის საუკეთესო მაგალითები ქვეყნების მიხედვით: http://www.keroul.qc.ca/DATA/PRATIQUEDOCUMENT/56_fr.pdf; ასევე, იხ.: http://www.isemoa.eu/index.php?id=14

14. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://ec.europa.eu/eip/ageing/standards/general/general-documents/european-disability-strategy-2010-2020_en

15. European Disability Strategy 2010-2020: A Renewed Commitment to a Barrier-Free Europe, გვ. 4-5, ონლაინ ხელმისაწვდომია.: https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2010:0636:FIN:EN:PDF

16. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.151.01.0070.01.ENG&toc=OJ:L:2019:151:TOC

17. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1202; http://www.edf-feph.org/newsroom/news/our-analysis-european-accessibility-act

18. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1485&langId=en

19. ქვეყნების მიხედვით მისაწვდომობის თაობაზე კანონმდებლობის სია იხ.: https://www.accessibletourism.org/resources/eu-supply-annex-2-national-accessibility-legislation-synopses.pdf

ავსტრია

ავსტრიის კანონი (The Disability Equality Act) ადგენს, რომ ფედერალური მთავრობის ვალდებულება შეიმუშავოს გეგმა და ეტაპობრივად განახორციელოს შენობების ადაპტირება. ამას გარდა, ავსტრიაში შემუშავებულია ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში (NATIONAL ACTION PLAN ON DISABILITY 2012–2020),[20] რომლის დიდი ნაწილი ეთმობა მისაწვდომობის საკითხებს.[21] ამის კვალდაკვალ, ლოკალურმა მთავრობებმა შეიმუშავეს სამოქმედო იმპლემენტაციის გეგმა, მაგალითად ქალაქ ვენის გეგმა. თუმცა, ავსტრიის ბევრი რეგიონი კრიტიკას იმსახურებს, რადგან მათ არ შეიმუშავეს რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული იმპლემენტაციის გეგმა.[22]

ვენის ტურისტულმა საბჭომ შექმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც ორიენტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე ვიზიტორებზე.23 საიტზე შეიძლება დაინტერესებულმა პირმა მოიძიოს ინფორმაცია მისაწვდომი სასტუმროების, მუზეუმების, თეატრის, კაფე-რესტორნების, თუ სხვა გასართობი დაწესებულებების თაობაზე.[24] მსგავსი ინფორმაცია ასევე თავმოყრილია მთელი ავსტრიის შესახებ.[25] ვენა გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი თითქმის სრულად ადაპტირებულია.[26] ვენის ურბანული განვითარების ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია ქალაქი მერს, რომელმაც შეიმუშავა გეგმა (Urban Development Plan STEP 2025), რომელიც ასევე ფარავს მისაწვდომობის საკითხებს.[27]

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს არჩეული აქვს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული მიდგომა. კერძოდ, სახელმწიფოს შემუშავებული აქვს თემატური სამოქმედო გეგმები, რომელთაც საკითხზე პასუხისმგებელი ორგანო/სამინისტრო შეიმუშავებს. მაგალითად, ტრანსპორტის დეპარტამენტმა[28] გამოაქვეყნა **ტრანსპორტის მისაწვდომობის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია**,[29] რომელიც კონსულტაციების შედეგად დაიხვეწა და საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2018 წლის ივლისში.[30] სამოქმედო გეგმა/სტრატეგია ეხება კონკრეტულ სფეროს - ტრანსპორტის მიმართულებით მისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამასთან, 2015 წელს გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ შენობების ადაპტირების მიზნით შეიმუშავა **ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმა**.[31]

20. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Austria_National-Disability-Strategy-2010-%E2%80%93-2020.pdf

21. იქვე, გვ. 43-60

22. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/9thSession/KDRD_Austria.pdf

23. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.accessibletourism.org/?i=enat.en.public-sector.1944

24. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.wien.info/en/travel-info/accessible-vienna

25. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.austria.info/en/service-and-facts/accessible-travel

26. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.visitingvienna.com/transport/accessibility/; http://www.wctrs-society.com/wp-content/uploads/abstracts/rio/selected/2913.pdf

27. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.wien.gv.at/stadtentwicklung/studien/pdf/b008379b.pdf, https://www.wien.gv.at/stadtentwicklung/studien/pdf/b008443.pdf

28. დამატებითი ინფორმაცია იხ.:https://www.gov.uk/government/organisations/department-for-transport

29. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.gov.uk/government/consultations/draft-transport-accessibility-action-plan/accessibility-action-plan-consultation-html-version

30. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/728547/inclusive-transport-strategy.pdf

31. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.gov.uk/government/news/creating-inclusive-buildings-and-design; http://cic.org.uk/

თემატური სამოქმედო გეგმების გარდა, 2018 წლის დეკემბერში გამოიცა **2018-2023 წლის ინკლუზიურობის განვითარების სტრატეგია**,[32] რომელიც არის უფრო ზოგადი ხასიათის და მათ შორის[33] ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის ადაპტირებასაც მოიცავს.[34] აღნიშნული სტრატეგია წარდგენილია გაეროში, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის თაობაზე ქვეყნის სამოქმედო გეგმა.[35] შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოში არსებობს ვიწრო მიმართულებით (მაგ. ტრანსპორტი, შენობები) მისაწვდომობის სტრატეგიები და ასევე ზოგადი ინკლუზიურობის განვითარების სტრატეგია.

ქვეყანა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მისაწვდომი გარემოს თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას და ტურიზმს. გაერთიანებულ სამეფოში შემუშავებულია სქემა (The National Accessible Scheme (NAS)),[36] რომელიც ვიზიტორებს[37] ეხმარება შეზღუდვის მიხედვით ინფორმაციის მოძიებაში. საძიებო სისტემა საკმაოდ მარტივია და ვიზიტორებს სთავაზობს შეზღუდვის ფორმის მითითებით, მისაწვდომ/ადაპტირებულ საცხოვრებელს, გასართობ დაწესებულებებს და საკვებ ობიექტებს.[38] ამასთან, განთავსებული ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ წინასწარ გადამოწმებულია. კერძოდ, დაწესებულების ოფიციალური წარმომდგენელი წინასწარ ნახულობს ბიზნეს ობიექტს, სწავლობს მას და ანიჭებს შესაბამის ლოგოს, თუ შეზღუდვის რა ფორმისთვის არის დაწესებულება ადაპტირებული.[39]

გერმანია

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციისათვის შეიმუშავა 10 წლიანია **ზოგადი სამოქმედო გეგმა**,[40] რომელიც განმარტავს უნივერსალურ დიზაინს და ადგენს მისადაგების ვალდებულებას.[41]

ევროპის სხვა ქალაქების მსგავსად, ბერლინსაც აქვს სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც ამომწურავი ინფორმაციაა მისაწვდომი ადგილების თაობაზე.[42] ბერლინში ბარიერების აღმოფხვრა ეტაპობრივად ხორციელდებოდა[43] და დღეს ის ერთ-ერთ ყველაზე ადაპტირებულ ევროპულ ქალაქად ითვლება.[44] ბერლინის გარდა, გერმანიის სხვა ქალაქებშიც უზრუნველყოფილია ადაპტირება, რაც შეზღუდული

projects/project.php?s=inclusive-environment-action-plan; https://www.designcouncil.org.uk/sites/default/files/asset/document/Inclusive%20Environments%20Action%20Plan1.pdf

32. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/760997/Disability-Inclusion-Strategy.pdf

33. დეტალურად გაწერილი ქმედებები ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/United-Kingdom_Disability-Inclusion-Strategy-Delivery-Plan.pdf

34. იქვე, გვ. 17

35. სტრატეგიის მოკლე ვერსია ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/United-Kingdom_Easy-read-strategy.pdf;

36. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.visitengland.com/plan-your-visit/access-all/national-accessible-scheme

37. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.visitengland.com/plan-your-visit/access-all/accessible-england

38. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.tourismforall.co.uk/plan-your-visit/the-national-accessibility-scheme

39. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.visitbritain.org/sites/default/files/vb-corporate/visitengland_national_accessible_scheme_serviced_standards.pdf

40. ინგლისურად მოკლე ვერსია ხელმისაწვდომია: https://www.gemeinsam-einfach-machen.de/GEM/EN/summary_of_the_nap20/summary_of_the_nap20_node.html

41. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.stadtentwicklung.berlin.de/bauen/barrierefreies_bauen/download/designforall/apb_red_broschure_en.pdf; http://www.keroul.qc.ca/DATA/PRATIQUEDOCUMENT/156_fr.pdf

42. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.visitberlin.de/en/accessible-berlin

43. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://zeroproject.org/policy/berlin/

44. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.sagetraveling.com/berlin-disabled-access; https://www.sagetraveling.com/Getting-Around-Berlin; https://www.accessibletourism.org/?i=enat.en.accessible-cities

შესაძლებლობის მქონე ტურისტებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს.[45] ეს კი მიღწეულია მისაწვდომობის თაობაზე ინფორმაციის და „ტესტების“ მუდმივი განახლებით, რომ ნებისმიერი ახალი დიზაინი აყოს **ადამიანზე მორგებული, მაშასადამე ადაპტირებული**.[46]

ესპანეთი

ესპანეთში რეგიონული განვითარება და შესაბამისი პროგრამები მეტწილად ავტონომიური რეგიონების პასუხისმგებლობაა, თუმცა ცენტრალური მთავრობა ადგენს ზოგად ჩარჩოს და აფინანსებს რეგიონების განვითარების პროგრამებს. ხოლო, რაც შეეხება ურბანულ პოლიტიკას, ესპანეთს აქვს საერთო ზოგადი სტრატეგია *(The Spanish Strategy on Local Urban Sustainability)*, რომელიც ფოკუსს აკეთებს ურბანულ და ტერიტორიულ განვითარებასა და დაგეგმარებაზე, მათ შორის, მისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ამასთან, რეგიონებს აქვთ სოფლის განვითარების სტრატეგიების დაგეგმვის ექსკლუზივი, თუმცა ეს პროგრამები (Regional Rural Development Programmes (RDP)) ინერგება ევროკავშირების რეგულაციების თანახმად. ამასთან, ცენტრალური მთავრობა (The National Ministry) რეგიონებთან ერთად შეიმუშავებს განვითარების პროგრამას (National Framework of Rural Development (NFRD)), რომელიც აწესებს იმ მინიმალურ სტანდარტებს რაც უნდა შეასრულოს ყველა რეგიონმა.[47]

ირლანდია

ირლანდიას შემუშავებული აქვს ეროვნული გეგმა (National Disability Inclusion Strategy 2017-2021),[48] რომელიც მოიცავს მისაწვდომობისა და ინკლუზიის საკითხებს. მანამდე ირლანდიაში არსებობდა 2004 წელს შექმნილი ეროვნული სტრატეგია (The National Disability Strategy).[49]

ირლანდიაში მისაწვდომობის საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა და ტურისტებისთვის ინფორმაცია სრულყოფილადაა მიწოდებული, რომ მათ სწორად დაგეგმონ ირლანდიაში ვიზიტი. კერძოდ, არსებობს სპეციალური საიტები, სადაც, დეტალურად არის გაწერილი მისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებები[50] და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, ტურისტებს ონლაინ შეუძლიათ მოგზაურობის დაგეგმვა.[51] შესაბამისად, ირლანდიაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის უმრავლესობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისათვის.[52] ამასთან, დუბლინს აქვს შემუშავებული სპეციალური რუკა, სადაც აღნიშნულია ყველა დაწესებულება, რომელიც ადაპტირებულია.[53]

45. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.germany.travel/media/content/barrierefreies_reisen/DZT_Barrierefrei_Broschuere_EN_UA.pdf

46. დამატებითი ინფორმაცია დიზაინის შესამოწმებლად და სხვადასხვა ტესტების თაობაზე იხ.: https://germanupa.de/sites/default/files/public/content/2018/2018-03-27/160721fsbarrierefreiheitenbfpdfua.pdf

47. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.oecd.org/cfe/regional-policy/regional-outlook-2016-spain.pdf

48. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Ireland_National-Disability-Inclusion-Strategy-2017-2021.pdf

49. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.justice.ie/en/JELR/Towards%202016%20Strategic%20Document%2026May09.pdf/Files/Towards%202016%20Strategic%20Document%2026May09.pdf; http://www.inclusionireland.ie/content/page/national-disability-strategy

50. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.transportforireland.ie/getting-around/accessible-travel-information/

51. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.transportforireland.ie/plan-a-journey/

52. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ireland.com/accommodation/articles/accessibility/; https://www.goaheadireland.ie/accessibility

53. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.google.com/maps/d/viewer?hl=en&msa=0&z=15&ie=UTF8&mid=1BEDF76jLLol-

იტალია

იტალიამ შეიმუშავა ზოგადი სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და სქემა მოიცავდა მისაწვდომობის საკითხებსაც.[54] გეგმის იმპლემენტაცია მოხდა რეგიონალურ დონეზე და ამ მხრივ გამოირჩევა მილანი, რომელიც ევროპის ერთ-ერთი მოწინავე ქალაქია, მისაწვდომობის თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს, 2016 წლის ევროკავშირის კონკურსის (Access City Award) შედეგები, რომლის თანახმადაც მილანი ყველაზე მისაწვდომ/ადაპტირებულ ქალაქად დასახელდა.[55] მნიშვნელოვანია ისიც, რომ მილანს აქვს ცალკე ვებ-გვერდი, სადაც ამომწურავადაა მოცემული ინფორმაცია მისაწვდომი, სასტუმროების, გასართობი დაწესებულებების და ტრანსპორტების თაობაზე.[56] ამასთან, მოცემულია, ყველაზე მოსახერხებელი მარშუტები ტურისტებისათვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა შეზღუდვა.[57]

ნორვეგია

ნორვეგიამ, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითადაა მიჩნეული, დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე (Norway universally designed by 2025).[58] სამოქმედო გეგმა საკმაოდ დეტალურად განიხილავს სტრატეგიას, მიზნებს და იმპლემენტაციის საშუალებებს (საკანონმდებლო/არასაკანონმდებლო გზებს). დოკუმენტის თანახმად, უნივერსალური დიზაინი უნდა დაინერგოს მშენებლობებისას, გარე სივრცეების მოწყობისას, ტრანსპორტის ადაპტირებისას და სხვა სექტორებში. ნორვეგიის სამოქმედო გეგმა 2009 წელს შემუშავდა და მისი მიზანია 2025 წლისათვის სრულად უზრუნველყოს უნივერსალური დიზაინი.[59]

შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე სამოქმედო გეგმის შემუშავებას ხანგრძლივი ისტორია აქვს ნორვეგიაში.[60] დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამოქმედო გეგმა რამდენიმე წელზეა გაწერილი, ატარებს ზოგად ხასიათს, რაც შემდეგ პრინციპების დონეზე/სამოქმედო გეგმების დონეზე კონკრეტდება სხვადასხვა რეგიონში.[61] შესაბამისად, სამოქმედო გეგმის (Norway universally designed by 2025) საფუძველზე არის შემუშავებული ოსლოს პრინციპები.[62] ევროპის სხვა დიდი ქალაქების მსგავსად, ოსლოს შესახებაც არის ინფორმაცია ინტერნეტ-სივრცეში განთავსებული, სადაც განთავსებულია ინფორმაცია საზოგადოებრივი

GRGCDu3KavG9QWtE&ll=53.345868105053555%2C-6.260826500000007

54. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/11/Italy_Biennial-action-plan-for-the-promotion-of-the-rights-and-the-integration-of-people-with-disabilities.pdf; https://www.esteri.it/mae/resource/doc/2016/07/b_01_piano_azione_eng.pdf; http://www.euroblind.org/convention/article-33/italy

55. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=89&newsId=2410

56. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.aboutmilan.com/accessible-milan.html

57. იქვე

58. Norway universally designed by 2025, The Norwegian government's action plan for universal design and increased accessibility 2009-2013, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.regjeringen.no/globalassets/upload/bld/nedsatt-funksjonsevne/norway-universally-designed-by-2025-web.pdf; The Government's Action Plan for Universal Design 2015–2019, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.regjeringen.no/contentassets/48ed7783842b410881a7da36ab530c72/the-governments-action-plan-for-universal-design-20152019_q-1233-e.epub.pdf

59. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://universaldesignaustralia.net.au/mapping-norways-status-of-accessibility/

60. 1999 წლის სამოქმედო გეგმა ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.regjeringen.no/en/dokumenter/T-599E-Accessibility-for-all/id108439/

61. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://extranet.who.int/agefriendlyworld/wp-content/uploads/2015/06/Timeline-Universal-Design-in-Norway.pdf; http://www.lm.gov.lv/upload/02_SIGRID_SKAVLID.pdf

62. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://extranet.who.int/agefriendlyworld/wp-content/uploads/2015/06/The-Common-Principles-of-Universal-design-City-of-Oslo.pdf; ასევე, იხ.: https://zeroproject.org/policy/pol183057nor-factsheet/

საპირფარეშოების, საცურაო აუზების, და ზოგადი საიტი/რუკა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის.[63] აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება მოტივირებულია ტურიზმის ადაპტირებით.[64]

ამას გარდა, ნორვეგიის სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ზოგადი სტრატეგია (A Society For All 2020-2030) შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის თანასწორობის უზრუნველსაყოფად, სადაც ასევე ხაზგასმულია მისაწვდომობის მნიშვნელობა.[65] აღსანიშნავია ისიც, რომ ნორვეგიის კანონმდებლობაში განმტკიცებულია თანასწორობის უფლება და სამოქმედო გეგმები ავსებს მას, განსაკუთრებით დადებითად არის შეფასებული ზემოთ დასახელებული 2020-2030 წლის ზოგადი სამოქმედო გეგმა.[66]

საფრანგეთი

საფრანგეთს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში შემუშავებული ჰქონდა სპეციალური სამოქმედო გეგმები შეზღუდვის ფორმებისა და სფეროების მიხედვით.[67] ასევე, პარიზში სპეციალური წესებია მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დადგენილი, რაც ტურისტული ნაკადით იყო განპირობებული. რადგან ყოველწლიურად ქალაქს ბევრი ტურისტი ჰყავს, დადგა საჭიროება ქალაქის ადაპტირებისათვის დამატებითი ღონისძიებები გატარებულიყო. პარიზის ადაპტირების გეგმაზე რეგიონული ტურიზმის საბჭომ *(The regional tourism board of Paris Ile-de-France)* 2001 წლიდან დაიწყო მუშაობა.[68] პარიზის ადაპტირებაზე, ასევე მუშაობს პარიზის მერია, რომელმაც შეადგინა ქალაქის განვითარების ზოგადი გეგმა,[69] რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ქალაქის ადაპტირების საკითხებს. ამასთან, ტურისტებისთვის, ინგლისურ ენაზე შემუშავებულია ე.წ. გაიდი, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას აწვდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პარიზის მისაწვდომობის თაობაზე.[70]

შვედეთი

შვედეთს არ აქვს მისაწვდომობის თაობაზე სამოქმედო გეგმა, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის თაობაზე ერთი საერთო დოკუმენტია შემუშავებული, რომელიც კონვენციის იმპლემენტაციას ეხება.[71]

შვედეთში სოციალურ სფეროში პასუხისმგებლობები კომპეტენციის მიხედვითაა გადანაწილებული ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვით-

63. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.visitoslo.com/en/oslo/practical-information/accessibility/

64. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://fundacionemplea.org/wp-content/uploads/2019/07/guidelines-for-the-implementation-of-a-customezied-accessible-tourism.pdf; http://countmein.eu/project/mapping-norway-a-method-to-register-and-survey-the-status-of-accessibility/

65. A Society For All The government's strategy for the equality of persons with disabilities for the period 2020–2030, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.regjeringen.no/contentassets/bc8396c163f148dc8d4dc8707482e2be/a-society-for-all_web.pdf; ასევე, იხ.: https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24408&LangID=E

66. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.embracingdiversity.net/country/norway_1035

67. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.un.org/development/desa/disabilities/strategies.html

68. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.accessibletourism.org/?i=enat.en.accessible-cities.1897

69. PARIS Smart and Sustainable, Looking ahead to 2020 and beyond, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://api-site-cdn.paris.fr/images/99354; ასევე, იხ.: https://www.oecd.org/inclusive-growth/champion-mayors/internationalandregionalevents/Binder2.pdf

70. ონლაინ ხელმისაწვდომია: http://fr.zone-secure.net/42102/890944/#page=7

71. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.un.org/development/desa/disabilities/strategies.html; https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Sweden_A-Strategy-for-the-Implementation-of-Disability-Policy-2011-2016.pdf; https://nordicwelfare.org/en/disability-issues/funktionshinderspolitik-i-norden/

მართველობებს შორის. ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია კანონების მიღებასა და მის აღსრულებაზე, ასევე შრომის, განათლების, სოციალური დაზღვევისა და ბინადრობის საკითხებზე. ხოლო, საზოგადოებრივ ტრანსპორტი მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტის მისაწვდომობის საკითხი მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, ცენტრალური მთავრობის ძირითადი პასუხისმგებლობაა აქტის შემუშავება და შემდეგ მისი იმპლემენტაცია ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე ხდება. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის ვალდებულება გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტით,[72] რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ დანერგა.

შენობების ადაპტირების პრაქტიკა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მომდინარეობს და დღევანდელი კანონის ჩანაწერის თანახმად, ყველა ახალი შენობა უნდა იყოს ადაპტირებული.[73] შენობების ადაპტირება ეტაპობრივად მიმდინარეობს და ამ პროექტებს ადგილობრივი თვითმართველობები აფინანსებენ.[74]

როგორც ზემოთ აღინიშნა, პასუხისმგებლობის დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მისაწვდომობის სტანდარტი შესაძლოა განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით. შვედეთში ადაპტირების მხრივ გამორჩეულია სტოკჰოლმი,[75] სადაც ბარიერები ეტაპობრივად აღმოფხვრა.[76] სტოკჰოლმის, ევროპის მასშტაბით, ერთ-ერთ ყველაზე ადაპტირებულ ქალაქად დასახელება განაპირობა სტრატეგიულმა მიდგომამ. კერძოდ, სტოკჰოლმისათვის დამოუკიდებლად შემუშავდა განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს მისაწვდომობის სტანდარტის გაუმჯობესების გზებს.[77]

უნდა აღინიშნოს, რომ შვედეთის თაობაზე შექმნილია ერთგვარი მისაწვდომობის ბაზა, სადაც თავმოყრილია ადაპტირებული ადგილების თაობაზე ინფორმაცია ტურისტებისათვის.[78]

72. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://lagen.nu/2010:1065

73. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.boverket.se/en/start/building-in-sweden/swedish-market/laws-and-regulations/national-regulations/accessibility/

74. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.independentliving.org/docs3/stileng.html; https://sweden.se/society/swedens-disability-policy/

75. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.tourism-review.com/travel-tourism-magazine-berlin-nantes-and-stockholm-most-accessible-eu-cities-article2388; https://www.uitp.org/sites/default/files/Stockholm%20PTA%20Accessibility%20UITP_0.PDF

76. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.eurisy.org/good-practice-stockholm-improves-accessibility-for-citizens-with-disabilities_48

77. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://vaxer.stockholm/globalassets/tema/oversiktplan-ny_light/english_stockholm_city_plan.pdf; https://international.stockholm.se/globalassets/ovriga-bilder-och-filer/urban-mobility-strategy.pdf

78. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://visitsweden.com/about-sweden/accessible-travel/

შეჯამება

შედარებითსამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპის ქვეყნებში ორივე პრაქტიკა მისაღებია - ზოგი ქვეყანა დამოუკიდებლად შეიმუშავებს მისაწვდომობის გეგმას, ხოლო ზოგი, სამოქმედო გეგმის ნაწილად განიხილავს მას. მაგალითად, გერმანიას, ავსტრიას, ირლანდიას აქვს ეროვნული გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში, რომელიც მოიცავს მისაწვდომობის საკითხსაც. ამავე დროს, გაერთიანებულ სამეფოსა და ნორვეგიაში არსებობს როგორც ზოგადი სამოქმედო გეგმა, ისე მისაწვდომობის საკითხებში ეროვნული სტრატეგიები/ გეგმები.

ამასთან, ზემოთგანხილული ქვეყნების პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც, თუ სპეციალური გეგმის შემუშავება ხდება ლოკალურ დონეზე, ის ექვემდებარება ცენტრალურ დონეზე შემუშავებულ ჩარჩო პრინციპებს/ეროვნულ გეგმას. მაგალითად, ესპანეთს აქვს ურბანული განვითარების საერთო სტრატეგია, რომელის იმპლემენტირება ლოკალური მთვარობების კომპეტენციაა. ესპანეთის ანალოგიური მიდგომა აქვს შვედეთსა და ნორვეგიას.

შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მისაწვდომობის სპეციალური გეგმა იქმნება ტურისტულად პოპულარული ქალაქებისთვის. მაგალითად, ასეთი სქემა არის შექმნილი პარიზისთვის, მილანისთვის, სტოკჰოლმისთვისა და ოსლოსთვის. ანალოგიურად, ავსტრიას აქვს ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ვენის მისაწვდომობის გეგმა.

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის კანონშემოქ-მედებითი და საზედამხედველო საქმიანობის მხარდასაჭერად. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს და არ წარ-მოადგენს პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას. ნაშრომი დაცულია საავტორო უფლებით და დოკუმენტის ან მისი ნაწილის გამოყენება წყაროს მიუთითებლად, ასევე მისი გავრცელება, ასლების შექმნა და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

ავტორი: პარლამენტის კვლევითი ცენტრის
მთავარი მკვლევარი - მარიამ გაიპარაშვილი
Email: mgaiparashvili@parliament.ge